

ტერიტორიული ავტონომიები და სეპარატიზმი
(საქართველოს და მოლდოვის შედარებითი ანალიზი)

ნინო სამსონიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სამსონიძე, 07.07.2020

აბსტრაქტი¹

წინამდებარე ნაშრომში განხილულია პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიული ავტონომიები და მათთან დაკავშირებული სეპარატიზმის ანატომია საქართველოს და მოლდოვის მაგალითზე. ყურადღება მახვილდება უმცირესობათა იდენტობაზე, ცენტრი სახელმწიფოს და ავტონომიური რეგიონის ინტერაქციასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე, ავტონომიის მნიშვნელობაზე, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისთვის, ისე უმცირესობის ჯგუფისთვის. აქცენტი კეთდება ორ მნიშვნელოვან საკითხზე - რა განაპირობებს ტერიტორიული ავტონომიების მშვიდობიან თანაარსებობას ცენტრთან და რა შემთხვევაში ხდება ავტონომიის მქონე რეგიონში მცხოვრები უმცირესობების რადიკალიზაცია, საბოლოოდ კი მათი სეპარატისტულ ერთეულად ფორმირება. ნაშრომი ფოკუსირებულია ორი ქვეყნის მაგალითზე - საქართველო და მოლდოვა. ეს ორი სახელმწიფო გამოირჩევა იმით, რომ ხასიათდება უმცირესობათა ტერიტორიული ავტონომიების წარმატებული და წარუმატებელი შემთხვევებით.

ნაშრომი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ სეპარატიზმის ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველო და მოლდოვა თვალსაჩინო მაგალითია იმის, რომ შედარებით მარტივია სეპარატიზმის წინასწარი პრევენცია, ვიდრე მის ნიადაგზე წარმოქმნილი და უკვე გამწვავებული, შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი მოგვარება/ტრანსფორმაცია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიული ავტონომიის მქონე რეგიონების დამახასიათებელი სეპარატიზმი არის კომპლექსური

¹ აღნიშნული ნაშრომის შემდეგ ნაწილებში: აბსტრაქტი, შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა გამოყენებულია მასალები ამავე ავტორის შემდეგი საკურსო (აკადემიური წერა) ნაშრომიდან: *უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ტერიტორიული ავტონომია და სეპარატიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში - საქართველო, აზერბაიჯანი და მოლდოვა.*

და მრავალგანზომილებიანი. ნაშრომში გამოკვეთილია, ის ფაქტორები, რაც პროცესების რადიკალიზაციას, ან პირიქით, ვითარების დასტაბილურებას უწყობს ხელს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის ეროვნებათა პოლიტიკას, უმცირესობების იდენტობას, ქვეყანაში არსებული საზოგადოების კომპოზიციას, ქვეყნის გარშემო შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებას, ისტორიულ ნარატივებს, მესამე ძალის არსებობას და კონფლიქტის მხარეთა რეალურ განზრახვებსა და მისწრაფებებს. ამასთან ერთად, კვლევამ აჩვენა, რომ კონკრეტული/ადგილობრივი კონტექსტი ძალიან ბევრ რამეს შეიძლება განსაზღვრავდეს.

საკვანძო სიტყვები: სეპარატიზმი, უმცირესობების ტერიტორიული ავტონომია, პოსტსაბჭოთა სივრცე, კორენიზაციის პოლიტიკა, იდენტობა.

Abstract

This study examines the anatomy of post-Soviet space separatism, linked with the territorial autonomies, inhabited by minorities. In particular, it emphasizes on the details such as, identity of minorities, interaction between center state and autonomous region, the importance of autonomy for both the central government and the minority groups.

This thesis is motivated by two research questions: what contributes to the peaceful coexistence of territorial autonomies with the center and when the minorities living in the autonomous region get radicalized and eventually form a separatist unit. The paper focuses on Georgia and Moldova, as long as both of these states are characterized by the successful and unsuccessful cases of minority territorial autonomies.

The study once again illuminates, that conflicts arising on the grounds of separatism are one of the most crucial challenges of the modern international system. Georgia and Moldova are clear examples of how easy it is to prevent separatism, rather than to further resolve / transform an already escalating armed conflict rooted in separatist aspirations. The outcomes of the study demonstrated that in the post-Soviet space, the minority regional autonomies, characterized by separatism, represent quite complex and multidimensional phenomena. More importantly, the study highlights those factors, that contribute to the radicalization of processes or, conversely the stabilization of the situation. In this regard, special importance is attached to the nationality policy of Soviet Union, the identity of minorities, the composition of society within the state, the geopolitical situation around the country, historical narratives, the existence of a third force and the real intentions and aspirations of the parties, involved in the conflict. Likewise, the study unfolds the importance of local context, which may turn into the most significant determinant factor.

Keywords: Separatism, Minorities, Territorial autonomy, Post-Soviet space, Politics of Korenizatsiya, Identity

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მიმართულებას, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ნინო ფავლენიშვილს და კვლევის მონაწილე ყველა რესპოდენტს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის.